№ 6
კვირა, 9 იანვარი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 6
კვირა, 9 იანვარი 1894
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, 9 იანვარს, წმ. მარინეს ეკკლესიაში დანიშნულია წლიური წირვა.

განსვენებულის იოსებ ილარიონის ძის ფორაქოვის

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, პანაშვიდი-კი შუადღის 12 საათზედ. (2—2)

„ივერია"

გამოვა 1894 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

ოთხშაბათს 12 იანვარს ე. ი. ასულის ნიკოლაძის სახლში დანიშნულია

ბალი

ქუთაისის სააზნაურო სკოლის სასარგებლოდ. ქალთათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის.

ქალთ უნდა გადაიხადონ 1 მან. და კაცთ—2 მან. დასაწყისი სალამოს 9 საათზე.

გამგებელი კნ. მარიამ არჩილის ასული წერეთლისა

(3—2)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ს. გ. წერეთელი პატივის-ცემით აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ კანონთა მე-IX ტომის საფუძვლით (გამოც. 1876 წ.) ამ 1894 წლის 20 იანვარს დანიშნულია საგანგებო კრება თავად-აზნაურობისა, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წესდების შეცვლისა, რათა ეხლანდელ საზოგადო კრებათა მაგიერ შემოღებულ იქმნას არჩევანები იმათი, რომელნიც უნდა დაესწრონ ხოლმე ბანკის კრებას მის სხვა-და-სხვა საქმეთა განსახილველად. (3—2)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 12 იანვარს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. საფაროვი-აბაშიძისა, მ. მ. ალ.-მესხიშვილისა, ყიფიანისა და ტყუიაველის მონაწილეობით

ე. ა. ჩერქეზიშვილის

საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ახალი პიესა

ხაფანგი

დრ. 4 მოქ. და 5 სურ., მეველესი.

II

ადვოკატთან

ვოდ. 1 მოქ., ვ. გუნიასი.

III

დივერტისმენტი

დასასრულ გამართული იქნება

ლეკური

ითამაშებენ მებენეფისე ლ. ჩერქეზიშვილისა და აწყურელი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, მელიქიშვილისა: ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გუნია, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი და სხ.

დასაწყისი $7^{1}/_{2}$ საათზედ

თბილისის მუსიკალური კრუჟოკი

კვირას 9 იანვარს, 1894 წ.

მომღერალი-ბარიტონი

კ. ს. ცხომელიძე

გამართავს

საოპერო და მუსიკალურ სალამოს

რუსულსა და ქართულს ენაზედ:

I

მაკკავეი

სცენები და დუეტი მეორე მოქმედებიდგან, მუსიკა რუბინშტეინისა, მოთამაშენი: ე. ფ. პეტროვისა და კ. ს. ცხომელიძე.

II

სტრადელლა

კომიკური სცენები მეორე მოქმედ. მუსიკა ფლოტოვისა, მოთამაშენი: ა. გ. სანისა და კ. ს. ცხომელიძე.

III

ევგენი ონეგინი

მოთამაშენი; ნ. პ. ენი, კ. ს. ცხომელიძე და ბ-ნი ავალიანი.

IV

დიდი დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ:

ე. ფ. პეტროვისა, ე. ვ. სევანოვისა, ა. გ. სანინისა, ნ. პ. ენნი, **თავ. აკაკი წერეთელი, ვ. ა. აბაშიძე.**

ი. ალექსი-მესხიევი, აწყურელი, ავალიანი, აღამიძე ქართული ხორო ბ-ნ რატილის ლოტბარობით და მოყვარეთა ოკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით.

დასასრულ

ლეკური

სალამოს შემდეგ გამართული იქნება

საერთო ცეკვა.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 9 იანვარს

—

წარსულ მაისს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მორიგ კრებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გადაკეთდეს თუ არა ქუთაისში სათავად-აზნაურო სასწავლებელი სხვა გვარ სასწავლებლად, ესე იგი მიეცეს პროფესიონალი ხასიათი, თუ დარჩეს შეუცვლელადაო? ამ საგანმა დიდი ცილობა და კამათი ასტეხა, თვით მწერლობაშიაც მრავალ გვარად დასურათდა ეს აზრი. ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ რამდენიმე ფელეტონი უძღვნა ამ საგნის გამოკვლევას და სხვ. მთელი საზოგადოება ორად განაწილდა: ზოგი იმ აზრისა იყო, რომ სათავად-აზნაურო სასწავლებელს, იმ ვითარებაში მყოფს და იმ უფლებანით შემოსილს, როგორიც ეხლა არის, გარდაკეთება სჭირიაო; ზოგი-კი ამბობდა: სასწავლებელი ხელ-შეუხებლად უნდა დარჩესო, და გარდაკეთების წინააღმდეგი იყო. ამასთანავე ამ უკანასკნელთ ისიც მოჰყავდათ თავის აზრის დასამტკიცებელ საბუთად, რომ გამწვავება ჩვენის მდგომარეობისა არ გვაძლევს უფლებას რაიმე ცვლილების შესახებ ვილაპარაკოთ, რადგან შესაძლოა ამ გვარმა ლაპარაკმა ხვალინდელის ბედნიერების მოლოდინსა და ძებნაში დღევანდელი სიკეთე დაგვაკარგვინოსო.

ამ საგანმა ჯეროვანი ყურადღება მიიქცია ყოველის ქართველის კაცისა, რომელიც-კი ცოტად თუ ბევრად თანაგრძნობით ეპყრობა საერთო საქმეს. ქუთაისში ზემოხსენებული კრება გულ-მოდგინედ შეუდგა ამ საგნის განსჯას და რომ უფრო რიგიანად და კეთილად გარდაეწყვიტათ, ამოირჩია თავის შორის კომისია, რომელსაც დაავალა ამ მძიმე საქმის გამორკვევა. კომისიას კრების მინდობილებით უნდა გამოეძია ის აზრი, თუ რა სახის სასწავლებელია ჩვენთვის უმეტესად საჭირო და სასარგებლო: ისეთი, როგორიც არის ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა, თუ სხვა გვარი? თუ კომისია აქ სცნობდა, რომ სასწავლებლის გარდაკეთება საჭირო არისო, მაშინ იმავე კომისიას უნდა შეემუშავებინა პროექტი, რა ხასიათის სასწავლებლად უნდა გადაკეთებულიყო, და ამასთანავე აენუსხა, ვარაუდით მაინც, ხარჯი, რაც ამ გვარ გარდაკეთებას დასჭირდებოდა...

როგორც მკითხველი დაინახავს, ეს ვალდებულება რთული და მძიმე არის, მოითხოვს დროს, მო-

ფელეტონი

—

წერილი კუნჭულეთიდამ

მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება სუფევს ჩვენს დალოცვილს კუთხეში. არავითარი მოძრაობა გონებისა, გინა გრძნობისა არ გვაშფოთებს და არ გვიფრთხობს იმ უცნაურს ძილს, რომელსაც ჩვენ განგებ, ჩვენდა საბედნიეროდ, მივსცემივართ. ეგ ჩვენი ძილი არც იმდენად ღრმაა, რომ ხანდახან ხელი ვერ გავაფათუროთ წასაგლეჯ-წასართმევად, პირის ჩასატკბარუნებლად და ჯიბის გასავსებლად. უკეთ რომ ვსთქვათ, ძილ-ღვიძილი ჰქვიან ჩვენს ასეთს სანატრელს მდგომარეობას; როცა სახეიროდ დავინახავთ, მივიძინებთ, როცა ღვიძილს მოაქვს რაიმე სარგებლობა, მაშინ-კი ვფხიზლობთ. მაგ. როცა რაიმე საზოგადო, საქვეყნო ინტერესები ჩვენგან სამსახურს ითხოვს, მაშინ თვალები მოხუჭული და მიმქრალი გვაქვს და, როცა-კი ჩვენ თითონ გამოველით რისგანმე ანუ ვისგანმე საკბილოს, მაშინ ვაჭყეტავთ და ვაბრიალებთ კიდეც. თუ როდისმე ძლიერ იელვებს ჩვენ თვალ-წინ და ჭექა-ქუხილივით დაგვატყდება თავს რომელიმე საქვეყნო საქმე, მაშინ ერთი-ორად უფრო მეტად ვაწებებთ ერთმანეთს თვალთა გუგას და ვიხშობთ ყურებს, რათა მაცდურმა სახემ და ხმამ არ წარგვიტაცოს და ჩვენს პირდაპირს საქმეს—კუჭის სამსახურს—არ მოგვაცდინოს. მართლადა არც იმდენად სუსტის მოსაზრებისანი ვართ და არც ისე მხდალნი, როგორც ვჩანვართ ჩვენს საზოგადო საქმეებში, მაგრამ ვიცით კარგად, რომ განგებ თვალების აზმა, თავის მოყრუება, არ დანახვა და არ გაგონება, როცა თავზედ კაკალს გამტვრევენ, უფრო ხელსაყრელი საქმეა. ცხოვრების ღელვა-ფეთქას დეე სხვებმა უჭყიტონ თვალები, სხვებმა დაუგდონ ყური მის გამომხმობელს ხმას, ჩვენ-კი მაგისათვის არა გვცალიან. სხვაგან თურმე თავ-გამოდებით იღწვიან სკოლების გამრავლებისა და კარგად მოწყობისათვის, ბიბლიოთეკისა და სამკითხველოს დაარსებისათვის, საზოგადოდ, უნდათ ხალხს განათლება მოჰფინონ და კეთილდღეობაში ამყოფონ და ამასთან სწამთ თურმე, რომ საზოგადო ცხოვრების გაძლიერება თვითოეულს ცალკე ბედნიერს ჰყოფსო, ხოლო, უკეთუ თვითოეული ცალკე თავის ბუდის მოწყობაში დალევს თავის სიცოცხლეს, მაშინ მთელი საზოგადო ძალა დასუსტდება და ყოველ კერძო კაცსაც ამიტომ ხეირი არ დაეყრებაო. ყოველივე ესე მოცლილ მატყუარებისაგან მოგონილი უაზრობაა; მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ამისთანა მოცლილნი სხვებზედ გაცილებით ნაკლებად გვყვანან და ყველანი ჭკვიანი და ბრძნები არიან, თავიანთ საქმეს ერთგულობენ და ლობე-ყორეს არ ედებიან. მართალია, საშიში არა გვჭირს რა, მაგრამ მხედველობასა და სმენას მაინც უნდა გაფრთხილება, რომ საიდანმე არ შემოგვეპრეს ის ცუდლუტობა, რომელსაც საქვეყნო სამსახურს ეძახიან.

ჩვენ კიდევ იმიტომ გვმართებს გაჩუმება და ხმის გაკმენდა, რომ ჩვენს საქმეებს სულ სხვები აკეთებენ ჩვენ მაგიერ; კეთილის მყოფელნი სხვაზედ მეტი ჩვენა გვყვანან. ისინი ჰმართავენ ჩვენთვის საჩვენო, საგანგებო დაწესებულებას. ასეთს დიდს სამსახურს გვიწევენ და ჩვენგან მცირე რამ სასყიდელს ითხოვენ. ითხოვენ დავსთმოთ მცირედი რამ დასათმობი. აბა ამაზედ რად ვიტყვით უარს. პირ-იქით კიდევაც მოხარულნი ვართ, რომ ამ „საჭოჭმანო" განძ გვაშორებენ და მარტო ამით აიხსნება, რომ ხმას არ ვიღებთ ახალ განკარგულებათა წინააღმდეგ. განძს-კი არა, ნეტავი თვალებსაც მოგვთხოვდნენ, რომ მაშინვე მივართვათ და ამ წარა-მარა ხუჭვა-ჭყეტას მოვრჩეთ. არა, არა, ჩვენგან არჩეული გზა სწორი და უტყუარია; კარგადაცა ვართ ჩვენთვის და თან კეთილ-საიმედოთაც დასახულნი. Все обстоитъ благополучно-ო, იწერებიან ჩვენ შესახებ და ეგ ხომ ძვირადა ღირს ჩვენთვის, როგორც ყველასათვის.

ცოტას გაწყდა კინაღამ ცოტაოდენი ჩირქი მოეცხო ჩვენს ასეთს სახელს. ვილაცებმა შარშან აქ წიგნთსაცავის დაარსება განიზრახეს, ორიოდე შკაფი და რამდენიმე წიგნიც კი შეიძინეს, მაგრამ მალე, ძლიერ მალე ამ ეშმაკსაც ფეხი მოვსტეხეთ, თვით დასაწყისშივე ჩავქოლეთ და ჩავკალით ეს ჩვენთვის დიდად მაზარალებელი საქმე. ეხლა იმ დაწყებულებისაგან დარჩა მარტო-ღა პტყული სახელი: „კუნჭულეთის საჯარო წიგნთ-საცავი და სამკითხველო", მაგრამ ამასაც მალე წავშლით ჩვენს გონებიდან და სულ განვიწმინდებით ამ განსაცდელისაგან.

თუ ზემო-თქმულმა ვერ დაგარწმუნოთ, რომ კეთილ-გონიერებისა, ზომიერებასა და სიფრთხილეს მოკლებულნი არა ვართ, ერთს მაგალითს ამისას კიდევ მოგახსენებთ. მოგეხსენებათ, მთელი ჩვენი ქვეყანა შესძრა და შეაღონა ალ. ყაზბეგის გარდაცვალებამ: დიდი, პატარა, ქალი, კაცი; ყველანი გლოვობდნენ ამ კაცის დაკარგვას. ასე გასინჯეთ,

ცალებას, ჩაფიქრებას, კომისიის წევრთა აზრის გაზიარებას და სხ.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი გულის ტკივილი არ გამოვსთქვათ იმის შესახებ, რომ ჩვენი მოღვაწენი, რომელთაც საზოგადოება სრულის რწმუნებით ეპყრობა, რომელთა სიტყვა საგულისხმოდ მიაჩნია, გულ-გრილად ეკიდებიან ამ საქმეს. რა დროს მერე? მაშინ, როცა შემდეგი მორიგი კრება დღე-დღეზედ უნდა მოხდეს, რომელიც მოელის კომისიისაგან შემუშავებულს პროექტს ამ საგნის შესახებ და იმათ-კი ჯერ ერთი მოლაპარაკება, ერთი კრებაც არა ჰქონიათ! თუ-კი ამ ცხრა თვის განმავლობაში კომისიამ ვერა იფიქრა-რა, ვერა გადასწყვიტა-რა, რა უნდა ჰქნას ორ-სამს დღეში კრებამ, რომელსაც არც დრო და არც გარემოება ნებას არ აძლევს, რომ ეს საგანი საფუძვლიანად შეიგნოს და ჯეროვანი მსჯავრი დასდოს?.. ვის უნდა ვუსაყვედუროთ მაშინ, რომელიმე ვაჟბატონი, რომელიც კრებას ესწრება იმისთვის, რომ „უპრავლაუჩი“ უნდა აარჩიოს და არა სხვა საგანი სჯოს, წამოდგეს, აიყოლიოს მომხრენი და ეს საქმე ფაცა-ფუცით დააბოლოოს, დაჭღუშოს?!

სრული იმედი გვაქვს, რომ ამ მძიმე და ჩვენთვის ფრიად ძვირფასსა და მნიშვნელობიანს საქმის განხილვას ჩვენნი მოღვაწენი, რომელთაგანაც შესდგება კომისია, აწ მაინც გულ-დასმით მოეკიდებიან და ამითი აგვაცილებენ იმ სამწუხარო შედეგს, რომელიც შესაძლებელია მოჰყვე'ს საქმის სწრაფსა და ჯეროვანად მოუფიქრებელს გარდაწყვეტას.

მენავე

◆ ◆

ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ხევიდამ ჰ-ნ გაბრიელ ბედოშვილისაგან შეკრებილი 34 მანეთი. აქედგან 17 მან. რუსთაველის ძეგლისათვის, ხოლო 17 მან. —ალ. ყაზბეგის ფონდის სასარგებლოდ. იყო რუსთაველის ფონდისა 698 მან. 82 კაპ. შესდგა 715 მან. 82 კაპ.

*** სამშაბათს, 11 იანვარს, საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა. მორიგ საქმეთა განხილვის გარდა, კრებას ექმნება სჯა საზოგადოებისა და ტფილისის საბაღოსნო სკოლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ 1894 წლისათვის. კრებაზედ არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, კვირას, 9 იანვარს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა. ეს კრება დეკემბრის 19-ს უნდა შემდგარიყო, მაგრამ საკმაო რიცხვი წევრთა არ დაესწრო და გადაიდო. მეორე კრება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება, და ამიტომ სასურველია, რომ დღეს მაინც შეიკრიბნენ წევრნი და ჩვეულებრივი გულცივობა ქართულის საზოგადო საქმის მიმართ უარ-ჰყონ.

*** დღესვე, 9 დეკემბერს, სამუსიკო კრუჟოკში დანიშნულია ქართულ-რუსული საღამო, რომელსაც ჰმართავს მომღერალი-ბარიტონი კ. ს. ცხომელიძე. ეს საღამო 4 იანვარს უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ შესდგა გამმართველის ავადმყოფობისა გამო. საღამოზედ წარმოდგენილი იქნება სცენები ოპერებიდგან: „მაკკავეი“, „სტრადელლა“ და „ევგენი ონეგენი“. შემდეგ გაიმართება დიდი დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ თ. აკაკი წერეთელი, ვ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, აწყურელი, რატილის ხორო და სხ. დასასრულ ლეკური და საერთო ცეკვა იქნება.

◆ ◆

დამაკვირდი

—

> განათლებული ბარბაროსი ყოველ ბარბაროსზედ უბოროტესი არსებაა.
>
> კ. ვებერი

**

> მკვირცხლი ჭკუა მაინცა და მაინც არაფერი სასარგებლოა, თუ იგი ჭეშმარიტს გზაზედ არა სდგას; საათის ღირსება ის-კი არ არის, რომ ჩქარა იმუშაოს, არამედ ის, რომ სწორედ მუშაობდეს.
>
> ვავენარგი

◆ ◆

ნაწყვეტი

სოფლად მოფრინდნენ გვრიტები:
სიცოცხლე გაგვემწარაო,
ყვავები ენას გვაჭრიდნენ,
შევშინდით, შევვეზარაო.
გვრიტების მოთქმა-ქვითინმა
მთა-ბარი ამკვნესარაო,
ატირდა მთელი ქვეყანა,
სისხლის ცრემლები ღვარაო.

◆ ◆

ორიოდე სიტყვა ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ.

(სახსოვრად)

ისევ სასწავლებელში ვიყავი, როდესაც ალექსანდრე ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) მოთხრობა „ელგუჯა“ იბეჭდებოდა „დროებაში“. არ მახსოვს როდისმე, სასწავლებელში ყოფნის დროს, ისე რასმე გავეტაცნეთ და ისე ძლიერ ემოქმედნა რასმე ჩვენზედ, როგორც „ელგუჯამ“ გაგვიტაცა. ყოველ დღე მოუთმენლად და გულის ძგერით ველოდით „დროების“ მიღებას. ვისაც თვალი უდევნებია, საკვირველი ის იყო, რომ ფელეტონები, სადაც „ელგუჯა“ იბეჭდებოდა, ისეთის ხელოვნებით თავდებოდა ავტორისაგან, რომ მკითხველს თანდათან მეტი ხალისი და სიყვარული ეძრებოდა გულში მოთხრობის შინაარსის გამო. სიყვარული ავტორისა ჩვენს გულში თანდათან იზრდებოდა და ერთხელ, როდესაც ყაზბეგის ბენეფისი იყო, ჩვენის პატივისცემის ნიშნად ვერცხლის კალამი მივართვით. შემდეგშიაც დიდის ხალისით ვკითხულობდით ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებს „ელისოსა“ და „მამის მკვლელს“. კარგა ხანი განვლო დრომ ჩვენის შეგირდობისამ და ცხოვრების მოედანზედ ბედმა შემთხვევით მარგუნა ერთხელ მენახა ალექსანდრე მიხეილის ძე თავის სამშობლო სოფელში.

ალექსანდრე ვნახე სტეფან-წმიდაში, როდესაც ექსარხოსი პალლადი მიემგზავრებოდა რუსეთისაკენ. ყაზბეგის სადგურზედ ა. მ. მოინდომა ექსარხოსის ნახვა. მისი სურვილი მოვახსენე მღვდელ-მთავარს და რო „ელგუჯას“ ავტორი უფრო თავაზიანად მიიღო, ესეც დავსძინე: ალექსანდრე ყაზბეგი ერთი უკეთეს ნიჭიერ წარმომადგენელთაგანია ქართულ მწერლობისა-მეთქი. ალექსანდრემ საუბარი გამართა ექსარხოსთან გერგეთის სამების ეკკლესიის შესახებ, რომელიც აშენებულია (მე-5 საუკ.) მყინვარის ძირას, ერთ მაღალ მთის წვერზედ, საიდგანაც მედიდურად დაჰყურებს სოფ. სტეფან-წმიდას. მშვენიერი სანახავია გერგეთის ეკკლესია სადგურ ყაზბეგიდგან და სოფ. სტეფან წმიდიდგან და ყოველთვის იზიდავს ყურადღებას საქართველოს სამხედრო გზაზედ მოსიარულე მგზავრისას. ალექსანდრემ აუწერა ექსარხოსს ბედნიერი წარსული და ეხლანდელი უნუგეშო მდგომარეობა გერგეთის ტაძრისა. იგი სწუხდა, ამ ძვირფასს ნაშთს საქართველოს დიდებისას, საქართველოს საზღვარზედ, ჩვენის დაუდევრობით, ბოლო არ მოღებოდა და ამიტომ სთხოვდა ექსარხოსს, რომ რაიმე ღონისძიება მიღებულიყო მის განახლებისა და განმშვენებისათვის. ალექსანდრემ ისეთს აღტაცებაში მოიყვანა ექსარხოსი პალლადი, რომ უკანასკნელმა მოინდომა გერგეთის ტაძრის ნახვა, მაგრამ როდესაც ჩვენ ვუთხარით, ეტლით მისვლა ეკკლესიამდის ყოვლად შეუძლებელია და ცხენით-კი შეიძლებაო, მაშინ იძულებული იყო თავი დაენებებინა თავის განზრახვისათვის, რადგანაც ექსარხოსმა ცხენზედ ჯდომა არ იცოდა.

ჩემის ყოფნის დროს „ხევში“ რამდენჯერმე ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა გამეგო, რა აზრისანი იყვნენ ალექსანდრეს შესახებ ისინი, რომელთა „კან მაგარ გულიდგან უხვად გადმოშალა ქვეყნის წინაშე მათი ყოველივე პატიოსანი ზრახვა და სიყვარული მამულისა“, როგორც სამართლიანად ამბობს ბ-ნი ფარნაოზი. მაგრამ, სამწუხაროდ, გულ-გატეხილი უნდა ვსთქვათ, რომ „ელგუჯას“ ავტორი მათთვის სრულებით არ არსებობდა, იმას ისე უყურებდნენ, როგორც უბრალო სიკვდილის შვილს. აქ უნებლიედ მაგონდება უტყუარი ჭეშმარიტება მაცხოვრის სიტყვებისა: „ამინ გეტყვი თქვენ რამეთუ არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვისსა სოფელსა“. რასაკვირველია, დაბალი ხალხი (მოხევენი) მარტო ერთის მხრით აფასებდნენ ალექსანდრეს, რომელსაც არა ჰქონდა ნიჭი მოხელეობისა და უნარი სიმდიდრის შეძენისა, მეორე უკეთესი მხარე მისი—მოღვაწეობა ქართულს მწერლობაში, მისი მძლავრი და მადლიანი კალამი, ის მხარე, რომლითაც ღრმა კვალი დააჩნია ქართულ მწერლობას, სრულებით დაფარული იყო მათთვის, როგორც უმეცრების წყვდიადით მოსილთათვის. მაგრამ მოვა დრო, ეს წყვდიადი განიფანტება და იმათთვისაც ალექსანდრე დაუვიწყარი და ღირს-სახსოვარი შეიქმნება!..

მღ. ალ. გ—ი

◆ ◆

ქორესპონდენცია

—

სოფ. სამტრედია (ქუთაისის მაზრა): ვერაფერ ბედნიერ ფეხით გვესტუმრა ეს 1894 წელი. ისე დღე არ გაივლის, რომ სოფელში ვისიმე სიკვდილი არ გავიგონოთ. იხოცებიან უფრო გაციებით და მჭვალებით. ამინდები ჩვენში ჭინჭყლიანი და ცივია; ეხლა თოვლიც მოგვივიდა; ვგონებ ეს ჰაერის წამ-და-უწუმი ცვლა უნდა იყოს მიზეზი ამ ხშირის სიკვდილისა. სამტრედია ციებ-ცხელებით უიმისოდაც ნაქები იყო, მაგრამ სხვა დროს ზამთრობით მაინც აღარ ყოფილა ციება და ეხლა-კი ისეთს ოჯახს ვერ შეხვდებით, რომ ვისმეს არ აციებდეს.

არ იქნა და ვერ მოისპო ჩვენს ხალხში მატყუარა მკითხავების ოინები. მერე არ იკითხავთ, სადა აქვთ ამ ვაჟბატონებს ბინა? სოფელ დიდ ჯიხაიშში, სადაც ორი-სამი პირველ დასაწყისი სასწავლებელია, სადაც აფთიაქია, სადაც ნასწავლი მკურნალი ახლოა (სამტრედიაში), სადაც

სოფლის მუშა ყაზახებმაც-კი გვირგვინით შეუმკეს საფლავი დიდებულს მწერალს. ჩვენ-კი, ჩვენ გავქვავდით და გავსალდით, ჩავიხშეთ ხუთივე გრძნობა, რომ ჩვენც ფეხის ხმას არ ავყოლოდით და ვისიმე საყვედური არ დაგვემსახურებინა. მართლადაც, ჩვენი მოვალეობა მტკიცედ შევასრულეთ: მთელს ამოდენა მაზრა'ში ხმა, კრინტი არ წაგვცდენია გულ-შემატკივრობისა და თანაგრძნობის გამოსათქმელად. ამ საქმეში ხელი იმ გარემოებამაც მოგვიმართა, რომ ყაზბეგს, როგორც სხვა ჩვენს მწერლებსაც, მკითხველი სანთლით საძებნელი გახდომია კუნჭულეთში და, რადგანაც მის ნაწერებს ვერ ვიცნობდით, არც წაგვიტაცა თვით მწერლის პატივისცემამ. ვისაც-კი წაეკითხა ორიოდეს, ისინი ასე ამბობენ, საჩვენო არა ყრია-რა შიგ, პირ-იქით ის ელვა და ქუხილია, რომლისაც ჩვენ ასე გვეშინიანო. კუზიანიძე, მოგეხსენებათ, ძალიან გულ-მაგარი, გამბედავი და რიხიანი კაცია მთელს კუნჭულეთში, შესანიშნავ რაინდად არის ცნობილი, არაფრის წინ ადვილად არ შედრკება, ცხრა კლიტულში გაძვრება და გამოძვრება; როცა უნდა, შეუმჩნევლად საკირეს აანთებს, შიგ ადამიანებს ჩახრაკავს და ვერავინ ვერაფერს გაუგებს, მუდამ ისარს ისვრის და მუდამვე შვილდი დამალული აქვს, აი ეს ბ-ნი კუზიანიძეც თურმე შედრკა ამ საკითხავის წინაშე, გადავიხადოთ პანაშვიდი განსვენებულ მწერლის სულის მოსახსენებლად, თუ არაო და სთქვა: ეს მეტად სახიფათო საქმეა და თან არც არავითარ თითის გასალოკს მანდედგან არ გამოველით, სჯობია უტკივარი თავი არ ავიტკივოთო. ამის დასამტკიცებლად ერთი გრძელი და მჭევრი „რეჩიც“ წარმოუთქვამს, რომელიც ასე დაუბოლოვებია: იყავით მშვიდნი, ვითარცა კრავნი, ხოლო მტრედის უმანკოებამ არ გაგიყოლიოსთო, ეგ ძველებური ზღაპარია, დღეს მაგას გა'სავალი აღარა აქვსო.

ასე და ამ ნაირად, ჩვენ, თავისუფალნი ყოველ საზოგადო მოვალეობისა და უმანკოებისაგან, გულ-დამშვიდებით მივსცემივართ ჩვენს საყვარელ, ნაჩვევს საქმეს. არ იფიქროთ-კი, ვითომც აქ მოგახსენებდეთ იმ ჩვენს ჩვეულებაზედ, რომლის მეოხებით ცხენი, ძროხა, შეშა, კალოში და სხვა ამისთანები ლოგინში უნდა დაიწვინო, თორემ სამუდამოდ გამოეთხოვებით; ეს ხომ არის და არის, მაგაზედ ლაპარაკი მეტიც იქმნებოდა ამ ჟამად. მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ჩვენს უცნაურს ნიჭს ვაჭრობისას. ვაჭრობა სწორედ ჩვენის ცხოვრების პირველ საღსრად გამხდარა და ძალიან ფეხ-ადგმულიც არის ჩვენში ეს საქმე. ჩვენ ყველანი ვაჭარნი ვართ და ვაჭარნი მეტად მოხერხებულნიც. ისეთის რამეების ყიდვა-გასყიდვას ვახერხებთ, რაც სხვებს სიზმრადაც არ მოეჩვენებათ. რადგანაც ვაჭრობაზედ აეგო ჩვენი ცხოვრება, ამიტომაც არის, რომ სხვა-და-სხვა ნაირ მაღაზიებით მოიფინა მთელი ჩვენი კუთხე. არის ისეთი მაღაზიებიც, რომლებშიც ვაჭრები სხედან მარტო, მდიდრდებიან, სუქდებიან და საქონელი-კი არსად სჩანს. საქმე ეს უჩინარი ვაჭრობაა და! ყველაზე დიდი სავაჭრო ფირმა ერთსა აქვს გამართული; დიდძალი ნოქრები ჰყავს აქა-იქ ჩაყენებული და ყველგან დიდი ვაჭრობა აქვს უხილავის საქონლისა. აუარებელი მუშტარი აწყდება ამ ფირმას ყოველის კუთხიდამ. მისი მუშტრები გაღმა მხარესაც ბევრია, ჩვენს კუთხესაც რომ თავი ვანებოთ. მდიდრდება და სუქდება ეს ნიჭიერი მოვაჭრე და მცოდნე თავის საქმისა. მაგრამ შური ხომ მუდამ თან სდევს ყოველ ამაღლებულსა და გაკეთებულს კაცს. ამ ჩვენს ვაჭარსაც ერთმა მუშტართაგანმა „დანოსი“ დაარტყა ტაქსაზედ, უფრო ძვირად მომყიდა საქონელიო. მოხდა ძიება. გამოჰკითხეს ამ ფირმის სხვა მუშტართაც, როგორც გაღმაველთ, ისე ჩვენებურთ, მაგრამ ყველამ ფირმის პატრონის სასარგებლოდ აჩვენა და კარგადაც ჰქმნეს: მტყუანიც რომ ყოფილიყო, მაინც ასეთის შეძლებულისა და გამოჩენილის აღებ-მიცემობის კაცის გაშავება არ იქმნებოდა ლამაზი საქმე, თორემ სიმტყუნე ამ კაცს არაფერში არ მიუძღვის: ვინ არ მიხვდება, რომ უჩინარ საქონელს ფასიც ასეთივე უჩინარი უნდა ედოს და ვერავითარ ტაქსას ვერ დაემორჩილება. თუ ძვირად ჰყიდულობენ ამ ფირმისაგან საქონელს, სამაგიეროდ, საქონელიც ღირს ფასად და! „კარგის ყიდვა ძვირადა სჯობს—ზედ დამატება ფასისაო“, უთქვამთ ძველებს.

ერთი სულ ახალ-ახალი ვაჭრობა კიდევ მოვიგონე და არ შეიძლება მკითხველებსაც არ გავუზიარო ეგ ჩვენის ჭკუა-გონებისა და პატიოსნების ნაწარმოები, იქნება იმათაც გამოიყენონ. დიდი ფასი აქვს აქეთკენ ПЯТЬ-ს. კუზიანიძისაგან შემოწმებულისა და ხელმოწერილ ტაქსით იგი 25 მანეთი ჰღირს, მაგრამ ხანდახან ამ საქონლის გამყიდველთა გულკეთილობა იქამდის მიდის, რომ ნაკლებადაც იყიდება. ასე რომ ამ საქონლის maxsimum-ი 25 მანეთია, ხოლო minimum-ათ ერთი ჩაფი ღვინოც გამოდგება. გარწმუნებთ, დიდი შეღავათია, ნამეტნავად ამ ქესატობაში. შეიძლება ამდენ თავის ქებას თავის მტვრევა მოჰყვეს და ამიტომ გავათავებ, იქნებ სხვა დროსაც დავუბრუნდე ჩვენთა „საგმირო საქმეთა“.

კუნჭულელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი იმდენად წინ-წასულია, რომ თავისი ბანკიც დაუარსებია. ერთი გლეხი გაციებით ავად გახდა, შევედი სანახავად და შემდეგ სურათსკი წავაწყდი: ავადმყოფს თავთან ება დიდი შავი თხა, რომელიც თავის ბღავილით გულს უღონებდა მნახველებს. გამოვიკითხე მიზეზი თხის დაბმისა და აი რა მივიღე პასუხად: „მარჩიელთან გავაგზავნეთ კაცი და იმას ეთქვა, რომ ხატი გაჯავრებია, სალმრთო ჰმართებია და არ მოუხდიაო; შავი თხა უნდა თავზედ შემოავლოთ და, თუ ავადმყოფი გადარჩა, სალმრთო მოუხადოთო“. ეს მკითხავი თურმე წამლებსაც იძლევა და, რასაკვირველია, არა ერთსა და ორს გაისტუმრებდა საიქიოსკენ.

ყარიბი

შემოწირულობა

გიგზავნით აქ მყოფთა ქართველთა შორის შეკრებილ 30 მანეთს, 15 მან. გვირგვინის ფასს, ხოლო დანარჩენი 15 მანეთი ძეგლის ასაგებ ფონდს უნდა მიემატოს. თუ ასეთი ფონდი არ არსებობს, გვაქვს იმედი, ჩვენ მიერ შემოტანილი ფული გამოიწვევს საზოგადოებაში მის დაარსების სურვილს.

კასსირი სვ. ზურაბიშვილი

17 დეკემბერს 1893 წ.

წერილი რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა გამოუცხადო „ივერიისა“ და „მწყემსის“ რედაქციებს, რომლებიც განვლილს წელში უგზავნიდნენ თელავის ღარიბს წიგნთ-საცავს უფასოდ თავიანთ გაზეთებს. უფრო დიდს მადლობას უძღვნიან თვით პატიმარნიც. ყველანი ერთად ვიმედოვნებთ, რომ ამ წელსაც გაზეთს არ მოგვაკლებენ. ამასთანავე დავუმატებ, რომ წარსულ წელს პატიმართ რიცხვით ას ორმოცს კაცს გაჰქონდა წიგნთ-საცავიდგან წიგნები და წიგნაკები საკითხავად, მაგრამ თუ ახალ-ახალი სხვა წიგნები ექმნებოდათ, უფრო ხალისით მოეკიდებოდნენ წიგნთ-საცავს. აი სწორედ ამ მიზეზისთვის მივმართავ პატიმართა სახელით ყველა რედაქციებს, წიგნების გამომცემელთ და იმათაც, რომელთაც ებრალებათ პყრობილნი, ნუ დაიშურებენ და თავიანთი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები უგზავნონ საპატიმროს. ამით ვგონებ დიდი არა დააკლდებათ-რა და ჩვენ-კი სამუდამოდ მადლობელნი დავრჩებით.

თელავის საპატიმროს წიგნთ საცავის გამგე, ბლაღ. მღ. მ. ხელაშვილი.

რუსეთი

ვარშავიდგან იუწყებიან, რომ ვარშავის გენერალ-გუბერნატორი ი. ვ. გურკო, რომელიც მძიმედ იყო ავად, თანდათან უკეთ არისო. როგორც ხმა დადის, ი. ვ. გურკო თებერვალში საზღვარ-გარედ მიდის სამკურნალოდ და თავის საწამლებლადაო.

—

სახელმწიფო საბჭო მალე გაარჩევს პროექტს, რომელიც შეეხება დედათა გიმნაზიების დაარსებას და განათლების სამინისტროს საპროფესსიონალო სასწავლებლებს.

—

„Правит. Вѣст.“-ში გამოცხადებულია, რომ ხელმწიფის ბრძანებით დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე დანიშნულ იქნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ.

ნეკროლოგი

† ა. პ. გაიდებუროვი

ამას წინად რუსეთში გარდაიცვალა რუსეთის საჟურნალო მოღვაწე, „Недѣля“-ს რედაქტორი პ. ა. გაიდებუროვი. განსვენებულმა სულ რამდენიმე საათის წინად გადაათვალიერა მეთაური წერილი თავისის გაზეთისა და გამოეთხოვა კიდეც ამ წუთი-სოფელს ორმოც-და-თორმეტის წლისა, გამოეთხოვა ისე, რომ უკანასკნელს წუთსაც თავისის გაზეთის სახელი ეკერა პირზედ.

განსვენებულმა უფულოდ, მხოლოდ თავისის ნიჭისა და შრომის წყალობით, შეჰქმნა ყოველ-კვირეული გაზეთი და ყოველ-თვიური ჟურნალი ჭეშმარიტების მიმართულებით, შესძინა 15,000-მდე ხელის-მომწერი დაბად და სოფლად, რომელთა განმანათლებელი და ხელმძღვანელი იყო.

განსვენებული თავის მოღვაწეობის დაწყებიდგანვე იმასა ჰქადაგებდა, რომ განათლებული ახალგაზდობა სოფელს უნდა დაუბრუნდეს, სოფლის ბნელს ცხოვრებაში უნდა შეიტანოს სხივი ნათელისა, თუ მართლაც სულითა და გულითა ვართ მოწადინებულნი სამშობლოს სიკეთესა, კეთილდღეობასა და წარმატებასაო. ამ აზრით იყო გატაცებული, ამ აზრის განხორციელებისათვის ჰშრომობდა და მკითხველ საზოგადოების პატივისცემაცა და ნდობაც დაიმსახურა თავისის უანგარო, პატიოსან შრომის წყალობით.

ამ ერთის წლის წინად დღესასწაული იყო გაზ. «Недѣля»-ს ოც-და-ხუთის წლის დაარსებისა და მაშინ გამომჟღავნდა განსვენებულის გავლენა და ის სიყვარული, რომელიც დაიმსახურებინა საზოგადოებას შორის. რუსეთის თითქმის ყოველ კუთხიდგან თანაგრძნობის წერილი მოუვიდა.

განსვენებული ერთი იმ ჟურნალისტთაგანი იყო, რომელიც პატიოსნად, თავ-გამოდებით ემსახურებოდა ლიტერატურას და გატაცებული სიყვარული ჰქონდა ამ ლიტერატურისა, სწამდა მისი სიკეთე და სარგებლობა.

ახალ წლის მიგებება გერმანიაში

აი გერმანელების ზოგიერთი საახალწლო ჩვეულებბევრითა ჰგავს ჩვენის მდაბიო ხალხის ჩვეულებას. პირველი ჩვეულება გერმანიის სოფლელთ შორის თოფის სროლაა. ახალ წლის წინა ღამეს, 12 საათზედ, ასტყდება თოფის შეუწყვეტელი სროლა და მეორე დღის საღამომდის არ შესწყდება... ახალ წელიწადს გერმანელები გზას აჩაღებენ ჩირაღდნებითა და ამ ჩირაღდნებს ევედრებიან, გაგვანათლეო. ყმაწვილი ბიჭები გააკეთებენ ხოლმე პატარა ბორბალს, რომლის ყოველ ფრთაზედ წამოაცმენ წითელ-წითელ ვაშლს, და გადააგდებენ იმ ოჯახის ეზოში, სადაც გულის სატრფო, გასათხოვარი ქალი ეგულებათ; დაიძახებენ დღის შესაფერს სიტყვას, დასცლიან დამბაჩას და მსწრაფლად დაიმალებიან. თუ მასპინძელმა იქვე დაიჭირა ცელქი, ჯერ ჯარიმას გარდაახდევინებს და შემდეგ ნიშნობას გარდიხდის და ნადიმს შეუდგებიან ყველანი. ახალგაზდობა გადაადნობს თაფლის სანთელს და ასხამს წყალში და რა სახესაც ჩასხმული სანთელი წყალში მიიღებს, იმითი სცდილობენ გამოიცნონ თავისი საბედო. სახლის კარებს ზურგს შეაქცევენ და ისე ისვრიან ფეხსაცმელს. თუ ფეხსაცმელის წვერი კარებისაკენ დარჩა, ეს ის არის, რომ ის ადამიანი მალე დაშორდება იმ სახლს და ქალიშვილი მალე გათხოვდება. მოხუცი ქალები სიბნელეში წიგნსა ჰშლიან და დილით კითხულობენ; თუ სამწუხარო ამბავზედ გადაიშალა წიგნი, ეს იმას ამტკიცებს, რომ მოხუცი მალე მოკვდება. თითოეული სცდილობს, რომ სუყველაზედ ადრე გაიღვიძოს და მეორეს მიულოცოს ახალი წელიწადი, მეკვლეობა გაუწიოს, სიცოცხლე და ბევრი ფული უსურვონ. ზოგან ულოცავენ ერთმანეთს ნამცხვარ პურს რგოლის მსგავსს, თუ ახალგაზდას უნდა გაახელოს რომელიმე ქალიშვილი, ამ ნამცხვარის მაგიერ ღამე ჩამოუკიდებს თივაში გახვეულ ხის რგოლს და ეს დიდი შეურაცხებაა; ახალგაზდები ქალიშვილების ფანჯრებთან ისრებს ასრიალებენ და ამით ყურადღება უნდათ მიიქციონ; ქალიშვილებიც ყურადღების მისაქცევად თითო ბოთლს ღვინოს და შაქრის პურს გადმოჰკიდებენ ხოლმე ფანჯარაზედ. ზოგან ახალ წელიწადს დღეს დაასობენ მაღალ ჯოხს და ზედ ჩამოაცმენ სანადირო ქუდს; ჯგუფ ჯგუფად განაწილდებიან და თავის შორის ამოირჩევენ მეფეს; ეს მეფეები გაიქცევიან იმ ჯოხისაკენ და ვინც პირველად მიირბენს და ჩამოიღებს ქუდს, იმას ერქმევა მეფეთა მეფე და ამ სახელს ატარებს მომავალ წლამდის.

უცხოეთის წვრილი ამბავი

ამ ჟამად მთელს ევროპაში მილიონობით იგზავნება წერილები ახალწლის მილოცვისა. ეს ჩვეულება ძველის-ძველი ჩვეულებაა. იგი არსებობდა ჯერ კიდევ რომში, სადაც წარჩინებულ კაცებთან მდაბიო ხალხი საჩუქრებს ეზიდებოდა ფულად თუ ძვირფას ნივთად. რაც უფრო დიდად გავრცელდა რომში სიმდიდრე და საზოგადოებრივი ურთიერთობა, მით უფრო ჰმატულობდა ეს ჩვეულება საჩუქრების დარიგებისა. ახალწელიწადს მილოცვის წერილებს მაშინაც ურიგებდნენ. როდესაც ქრისტიანობა დამკვიდრდა, სხვა კერპთა თაყვანის-ცემის დროინდელ ჩვეულებათა შორის ეს მილოცვის ჩვეულებაც დარჩა. საფრანგეთში ეს ჩვეულება მილოცვისა და საჩუქრების დარიგებისა აქამდე არსებობს.

**

ამ ჟამად ნიუ-იორკსა და ჩიკაგოს შორის რკინის გზის ახალი ელვა მატარებელი დადის. ევროპის ამ ორ დიდს ქალაქს შორის 1,400 ვერსია და ამ მანძილს ოცის საათის განმავლობაში გარბის, თუმცა გზად ცხრა ჯერ ჩერდება. ყოველ ორასის ვერსის მანძილზედ ორთქლ-მავალსა სცვლიან, რადგან ვერც ერთი მემანქანე სამს საათზედ მეტს ვერ გასძლებს ასეთის ორთქლ-მავალის ტარებასა და ხელმძღვანელობას. ძნელად წარმოსადგენია მატარებელი, რომელიც ერთს საათში 75—100 ვერსს გარბის. ასე სისწრაფით სიარულის დროს ორთქლმავალის უშველებელი თვალი ერთს თვალის დახამხამებაზედ ხუთჯერ გადაბრუნდება ხოლმე და 15 საჟენს გარბის. ათჯერ დაახამხამებთ თვალსა და 150 საჟენს გაირბენთ! მერე ვინ იცის ამ მანძილზედ რამდენი ხიფათი და დაბრკოლება დახვდება წინ მატარებელს! მისახვევ-მოსახვევში შეიძლება მატარებელი ლიანდაგს გადასცდეს, გვირაბში უბედურება რამ დაემართოს და ყოველ ამისი პასუხის-მგებელი მემანქანეა. თვალ-გაფაციცებით უნდა ადევნოს თვალ ყურ:სიდებსა, აღმართ-დაღმართს, მისახვევ-მოსახვევს, სარკინის გზო ნიშნებს და ამასთან ალაყაფაც ამუშაოს, რეგულიატორიც და ორთქლ-მავალის სხვა ნაწილებიც. ერთის სიტყვით, ფიქრის უსწრაფესად უნდა იმუშაოს.

გასართობი

—

ერთხელ ფონ-ვიზინის „ბრიგადირი“ წარმოადგინეს. მეორე დღეს რაზმანოვს, იმ დროინდელ მსახიობს, საქმე ჰქონდა ერთს სასამართლოში. მივიდა იქ, კარებთან დარაჯი დაუხვდა და უთხრა: „თუ არ მითხარით, რა ჩინისა ბრძანდებით, სასამართლოს კარებს ვერ გაგიღებთო“. „გუშინ, ჩემო ძმაო, ბრიგადირი ვიყავი, მიუგო რაზმანოვმა, და ხვალ რა ჩინს მომცემენ, არ ვიციო“.

„უკაცრავად, ბატონოო!“ მოწიწებით წარმოსთქვა დარაჯმა და საჩქაროდ გაუღო კარები.

**

ერთს ძველს იტალიურს პიესაში არლეკინს საკრიპანთან აქვს დუელი. საკრიპანი გულს იხსნის და სთხოვს, რომ მისი მოპირდაპირეც ისე მოიქცეს, მაგრამ არლეკინი უარს ამბობს, მეშინიან სურდო არ დამემართოსო, იმ დროს, როცა საქმე ხელდა-ხელობამდის მიაღწევს, აკანკალებულის ხმით ეუბნება არლეკინი საკრიპანს:

„მე შენ გირჩევ, დამნებდე!“—„მე მაგაზედ სულაც არა ვფიქრობ“.—„მაშ თუ თანახმა არა ხარ, მე შენზედ მეტს სულგრძელებას გამოვიჩენ, მე გნებდები!“

**

ერთს კაცს, რომელსაც ვერავითარის საბუთით ვერ დააჯერებდი, რომ დედამიწა ტრიალებს თვისის ღერძის გარშემო, ჰკითხეს: „როგორ მოხდება ხოლმე, რომ მზე საღამოთი დასავლეთისკენ ჩავა და დილით ისევ აღმოსავლეთით ამოდისო?“

—„ეგ რა გასაკვირველიაო, უპასუხა მან: მზე იმავე გზით ჰბრუნდება აღმოსავლეთისაკენ დილაზე ამოსავლელად, მაგრამ რადგანაც ეს მოგზაურობა ღამით მოხდება ხოლმე, ამისათვის ვერა ვხედავთო“.

გამოსადეგი ცნობა

—

ქაღალდიდგან მინაზედ ნახატის გადატანა. მინაზედ იმ ნახატების გადატანა, რომელიც სტამბის მელნით არის დაბეჭდილი ქაღალდზედ, შარლე მენეს სიტყვით, ამ გვარად შეიძლება: 1) მინის ზედა პირს, რომელზედაც ჰსურთ მხატვრობა გამოიყვანონ, უნდა წაუსვან სამხატვრო ზეთი და როცა ზეთი გაშრება, ხელ-ახლად უნდა წაუსვან; 2) იმ ქაღალდს, რომლიდამაც ნახატის გადაღება უნდათ, ორისავე მხრით უნდა სველი ტილო გადააფარონ, შემდეგ სველები მოაცილონ და მის ნაცვლად მშრალი ტილოები მოაფარონ და გააშრონ, ისე-კი, რომ ქაღალდი ნოტიოდ დარჩეს; 3) ამ გვარად ნოტიო ქაღალდს იმ კიდრით, რომელზედაც ნახატია, დაადებენ ზეთ-წასმულ მინას და ზევიდგან გადააფარებენ მშრალ ტილოს, ისე რომ ყოველი ნაწილი ქაღალდისა მინას სწორედ დაეკრას. სამ-ოთხს საათს ამ სახით არის დაკრული, სანამდის ქაღალდი სრულიად გაშრება; 4) როცა ქაღალდი გაშრება, რამდენჯერმე ცოტად სველ ღრუბელს წაუსმენ, რომ ასმკრეს მინას. ამ გვარად ნახატი სრულიად, შეუცვლელად მინაზედ გადადის; ნახატი რომ არ მოიშალოს მინაზედ, ერთს საათს შემდეგ მინას კიდევ წაუსმენ სამხატვრო ზეთს.

ამ სახითვე შეიძლება ქაღალდიდგან მხატვრობის გადაღება ხესა, ძვალსა და ფაიფორზედ, მხოლოდ ზედა პირი ყველა ამას ძლიერ მოსწორებული და გაწმენდილი უნდა ჰქონდეს ან ეგრედ წოდებულ „მინის ქაღალდით“ და ანუ ზუმფარათი.

დეპეშა

7 იანვარი

პეტერბურგი. სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგი სიპიაგინი დანიშნულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

8 იანვარი

ბერლინი. სადამოჟნო საბჭოს წევრთა სიტყვით, გუშინ საბჭოს უკანასკნელი სხდომა ჰქონდა გერმანია-რუსეთის სადამოჟნო საქმის მორიგების შესახებ.

ვენა. ირჩევა „ომლადინის“ საქმე. სასამართლოს წერილი მოუვიდა, რომელშიაც იმუქრებიან, რომ თუ ბრალდებულნი გაამტყუნეთ, სასამართლოს დინამიტით ავაფეთქებთო.

პეტერბურგის ბირჟა, 7 იანვარი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,43	7,45	— ,,
ტრამოჟნის კუპონები .	148¼	149	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,	— ,,	— ,,
5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	240½
—მეორისა		— ,,	225¼
4°/₀ მესამე სესხისა. .	-- ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	-- ,,	— ,,	191¼
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6°/₀.	100¾	— ,,	— ,,
5°/₀.	98½	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6°/₀.	100¾	— ,,	— ,,
5°/₀.	98½	— ,,	— ,,
5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	98¼	— ,,	— ,,

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

განცხადებანი

„მზა-მეტყველება“

თხზ. ანტონ კათალიკოზისა

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი მანათი და ათი შაური.

(5—4)

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА

ЗУБНАГО ВРАЧА

АДЕЛЬГЕЙМЪ

МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ

СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—147)


ГЛАВ. СКЛАДЪ, МОСКВА
у Л. Я. СТОЛКИНДЪ
ОСТЕРЕГАТСЯ ПОДДѢЛОКЪ
КРУПИНКИ ДЛЯ УНИЧТОЖЕНІЯ КРЫСЪ и МЫШЕЙ
ПРОВ. ФРОНШТЕЙНЪ
ПРОДАЕТСЯ ВЕЗДѢ по 30 и 50 к.
ФУРКАСОВС. ПЕР. Д. ОБИДИНОЙ

ტფილისში ა. არისტაკოვის საათიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ჯეჯილი

(წელიწადი მეოთხე)

გამოვა 1894 წელსაც აგრეთვე ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდის.

ხელის-მოწერა მიიღება

ტფილისში „ჯეჯილის“ რედაქციაში

Водовозная № 22. дом Айвазова.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მანეთი.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

„ივერია“

ამ 1894 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 „	5 „	5 „ 50 „
10 „	8 „ 75 „	4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „	3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „	2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „	1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

ვალ. გუნიას მიერ

შედგენილნი და გამოცემულნი

საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკით დასტამბული, უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტუღუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

ტურბინები

ბით სჯლო-
წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილეს.
ბია და 2 დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.

გაფრთხილება.

დიდი მოთხოვნილება და განთქმული სახელი ჩვენგან შედგენილის:

ყვავილების ო-დე-კოლონისა,

გლიცერინის საპონისა სახეებით,

გლიცერინის პუდრისა,

ექსტრაქტისა სპარსულ იასამნის და რეზედის ყვავილებისაგან,

საუკეთესო კოლოფები და სხ.

აიძულებს ჩვენს კონკურენტებს **მოგვბაძონ** ჩვენ არა მარტო ჩვენი საქონლის ჩვენგან დარქმეულ სახელებით, თვით გარეგნულის მორთულობითაც, რომ ამით შეაცდინონ საზოგადოება და გაავრცელონ თავიანთ საქონლის გასყიდვა, რის გამოც ვსთხოვთ პატივცემულთ მონასყიდეთ, როდესაც ჩვენს საქონელს ყიდულობენ, მიაქციონ ყურადღება ჩვენს ფირმას და ქარხნის მარკას.

БиК° БиК°
БРОКАРЪ и К°
ВЪ МОСКВѢ
ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ.
1864 г. 1864 г.

ბროკარი და კ°.

(8—1)

მიიღება ხელის მოწერა

1894 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

„მოამბე“-ზედ

	1 წლით	6 თვით	3 თვით
ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში	10 მან.	6 მ.	4 მ.
საზღვარ გარეთ	13 მან.	7 მ.	5 მ.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Моамбе“.

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ნიკოლოზ ღოღობერიძე

Въ Б. Жуковскій С.-Петербургъ
10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკას მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель

А. Брокгаузенъ

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.

С.ПЕТЕРБУРГСКАЯ ТЕХНО-ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ
ФАБР. МАРКА
УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛЬСТВ.

„ნევის პაპრიზები“

დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“

„მიუსკ“ დუხები

ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის

„მიუსკ“ სხპ. დ ოდეკ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„**კაპრიზ ნევის**“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—24)

Доз. ценз. Тифлисъ, 8-го Января 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**